შეუძლია თუ არა მხატვრულ ლიტერატურას, უკეთეს ადამიანებად გვაქციოს?

ავტორი [მაკა ლდოკონენი]

ბავშვობიდან გვარიგებენ, რომ ბევრი უნდა ვიკითხოთ, რომ წიგნები გარე სამყაროს უკეთესად აღქმაში გვეხმარება, ლექსიკას გვიმდიდრებს და მართლწერას გვიხვეწს, მაგრამ... შეუძლია მხატვრულ ლიტერატურას, უკეთეს ადამიანებად გვაქციოს? არსებობს მისი დადებითი გავლენის დამამტკიცებელი სარწმუნო კვლევები? რეალურად რა სარგებლობა მოაქვს სხვისი გამოგონილი ამბების კითხვას?

* * *

კანადელმა მწერალმა და კოგნიტიური ფსიქოლოგიის მკვლევარმა **კიტ ოუთლიმ მხატვრულ ლიტერატურას „ჩვენი შემეცნების საპილოტე ტრენაჟორი“ უწოდა.** მისი აზრით, როგორც მფრინავი სწავლობს ავიალაინერის მართვას დედამიწიდან აფრენის გარეშე, ასევე იუმჯობესებს სოციალურ უნარ-ჩვევებს ადამიანი, რომელიც რეგულარულად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას.

კვლევის პროცესში ოუთლიმ შენიშნა, რომ პერსონაჟთან იდენტიფიცირებისას მკითხველი საკუთარის ნაცვლად გმირის მიზნებსა და სურვილებზეა კონცენტრირებული – თუ პერსონაჟი საფრთხეშია, მასაც უხშირდება გულისცემა, აღელვებისგან შესაძლოა სუნთქვაც კი შეეკრას, თუმცა იმის გააზრება, რომ წიგნში აღწერილი მოვლენები სინამდვილეში არ ხდება, კმაყოფილების განცდას იწვევს, შიშსა და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების სურვილს ანელებს. სამაგიეროდ, ძლიერდება სხვის გასაჭირში თანამონაწილეობის, თანაგრძნობის, ზრუნვის მექანიზმები.

არისტოტელე ამბობდა: როდესაც ტრაგედიას ვუყურებთ, ჩვენში ორი ემოცია იბადება – მთავარი გმირი გვეცოდება და საკუთარი თავის გამო შიში გვეუფლებაო. კითხვის პროცესში ჩვენ ვაანალიზებთ, როგორ მოვიქცეოდით პერსონაჟის ადგილას. ეს გონების ერთგვარი წვრთნაა, სხვა ადმიანების უკეთ შეცნობაში რომ გვეხმარება. და მართლაც, ოსტატურად დახატული პერსონაჟები გვაინტრიგებენ და თავგადასავლებში გვითრევენ. ბელეტრისტიკის გავლენას ხომ საოცარი ფაქტები მოწმობს: ადამიანები სამოქალაქო აქტივობებში, საქველმოქმედო აქციებში, ძალადობასთან ბრძოლაში ერთვებიან...

მაგრამ... შეიძლება თუ არა, გადაჭრით ითქვას, რომ ის, **ვინც მხატვრულ ლტერატურას კითხულობს, უფრო ემპათიურია, ვიდრე დოკუმენტური და სამეცნიერო ლიტერატურის მკითხველი ან ის, ვინც არაფერს კითხულობს?**

ოუთლიმ სტუდენტებს მწერლების სია დაურიგა და სთხოვა, მხოლოდ ნაცნობი ავტორები შემოეხაზათ. მაქსიმალურად გულწრფელი პასუხების მისაღებად ექსპერიმენტის მონაწილეები გააფრთხილა, რომ ჩამონათვალში გამოგონილი სახელებიც იყო (ხშირად ადამიანები საკუთარ თავს უკეთეს მკითხველებად წარმოჩენენ, ვიდრე სინამდვილეში არიან). ამის შემდეგ ოუთლის გუნდმა ჩაატარა ტესტი „Mind in the Eyes“: მონაწილეებს დაურიგეს ფოტოები, რომლებზეც მხოლოდ წყვილი თვალი იყო აღბეჭდილი და სთხოვდნენ, გამოხედვის მიხედვით ამოეცნოთ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა.

მაქსიმალური შეფასება იმ სტუდენტებმა დაიმსახურეს, რომლებსაც მეტი მხატვრული ნაწარმოები ჰქონდათ წაკითხული. დიახ, აღმოჩნდა, რომ **ბელეტრისტიკის ფანები უკეთ აღიქვამენ სოციალურ გარემოს და უკეთ აფასებენ გარშემო მყოფთა ემოციებს. მაგრამ აქცევს კი ეს უნარი მათ უკეთეს ადამიანებად?!**

ამის შესამოწმებლად მკვლევარებს ხანგრძლივი დაკვირვება დასჭირდათ. პირველ ეტაპზე მონაწილეებს ავსებინებდნენ ანკეტას – პასუხს აცემინებდნენ კითხვებზე, რომლებიც მათი ემპათიურობის ხარისხის გაზომვის საშუალებას იძლეოდა. მეორე ეტაპი მოკლე მოთხრობის წაკითხვა და მის შესახებ მსჯელობა გახლდათ, რომლის მსვლელობის დროსაც აკვირდებოდნენ, ვინ რამდენად დაინტერესდა წაკითხულით, ვის სურდა, ამბის დასრულების შემდეგ პერსონაჟების შესახებ კიდევ შეეტყო რაიმე. მესამე ეტაპზე კი ნებისმიერი ფსიქოლოგისთვის ნაცნობ მეთოდს მიმართეს: იატაკზე ვითომ შემთხვევით დაუცვივდათ კალმები, რომ გაეგოთ, ვინ გაიწევდა მათ დასახმარებლად.

ვინც მეტად თანაუგრძობდა წაკითხული მოთხრობის გმირს, დასახმარებლადაც ის გარბოდა. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ადამიანები მოთხრობის წაკითხვამდეც საკმაოდ გულისხმიერები იყვნენ, მაგრამ მკვლევარებმა მონაწილეების ემპათიურობის განმსაზღვრელი ქულები მოთხრობის წაკითხვამდეც დააჯამეს. ნებისმიერ შემთხვევაში მეტი ალტრუიზმი მათ გამოიჩინეს, ვიზეც უფრო მეტად იმოქმედა წაკითხულმა.

***

ექსპერიმენტი ექსპერიმენტად რჩება, რეალურ ცხოვრებაში კი შესაძლოა ყველაფერი პირიქით მოხდეს. იქნებ, ვინც უფრო ყურადღებიანია გარშემო მყოფების მიმართ, მხატვრული ლიტერატურის კითხვაც სწორედ მას იტაცებს. დასკვნის გამოტანა ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია. უკეთეს შედეგს ალბათ მაშინ მივიღებთ, ემპათიის ხარისხის გაზომვის შესაძლებლობა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თუ გვექნება.

ამგვარი მიდგომით რამდენიმე მცირე კვლევა ჩატარდა კიდეც: სტუდენტებს წასაკითხად შესთავაზეს საგაზეთო სტატია (საბერძნეთში მომხდარ აჯანყებასა და ნიდერლანდებში გამართულ დღესასწაულზე) ან ერთი თავი ჟოზე სარამაგუს რომანიდან „სიბრმავე“, რომელშიც მამაკაცი საჭესთან მწვანე შუქის ანთებას ელოდება და უეცრად მხედველობას კარგავს. თანამგზავრები მას შინ წაიყვანენ, შემთხვევითი გამვლელი კი ავტომობილის სახლამდე მიყვანას სთავაზობს და მანქანას იპარავს. სტუდენტების ემპათიის დონე წაკითხვისთანავე საგრძნობლად იზრდებოდა. ამ სტუდენტებს ერთი კვირის შემდეგაც იკვლევდნენ და მათი ემპათიის მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალი იყო.

ბუნებრივია, ჩვენს გრძნობებსა და ქცევაზე გავლენას მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებები არ ახდენს. ჩვენ თანავუგრძობთ იმ ადამიანებსაც, ვის შესახებაც საგაზეთო სტატიებსა და რეპორტაჟებში ვკითხულობთ. მაგრამ **ბელეტრისტიკას, სულ მცირე, სამი უპირატესობა აქვს: მკითხველს საშუალება ეძლევა, ჩაუღრმავდეს გმირის შინაგან სამყაროს; მკითხველს, როგორც წესი, სჯერა რომანებში წაკითხული ამბების; მკითხველი პერსონაჟის ცხოვრებას მრავალი წლის განმავლობაში ადევნებს თვალყურს.**

ამრიგად, კვლევებს თუ დავუჯერებთ, **მხატვრული ლიტერატურის კითხვა ადამიანებს უკეთესი ქცევისკენ უბიძგებს.** აქედან გამომდინარე კი დროა, უარი ვთქვათ სტერეოტიპზე, რომლის მიხედვითაც „წიგნის ჭიები“ ბევრ დროს იმიტომ ატარებენ წიგნებთან, რომ რეალური ურთიერთობებისა ეშინიათ. სინამდვილეში ამ „ჭიებს“ ყველაზე უკეთ ესმით სხვა ადამიანებისა, რისი გათვალისწინებაც არაერთი პროფესიის წარმომადგენელსა თუ პოლიტიკოსს ნამდვილად წაადგებოდა.

წერილი მომზადებულია BBC ჟურნალისტის, კლაუდია ჰემონდის სტატიის „Does reading fiction make us better people?“ მიხედვით.